



საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	უმაღლესი განათლების ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი)
პროგრამის ხელმძღვანელი	ნათელა დოლონაძე, ავღიღრებული პროფესორი, დოქტორი, ელ. ფოსტა: nateladoghonadze@ibsu.edu.ge მობ.: 593378929
სწავლების საფეხური	მაგისტრატურა (უმაღლესი განათლების II საფეხური)
სწავლების ენა	ინგლისური
საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი	აკადემიური
კრედიტების რაოდენობა	120 ECTS კრედიტი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	განათლების მაგისტრი განათლების ადმინისტრირებაში / Master of Education in Education Administration
დაშვების წინაპირობები	საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი; საქართველოს მოქალაქეებმა უნდა წარმატებით ჩააბარონ ერთიანი ეროვნული სამაგისტრო გამოცდები, ხოლო უცხოელი სტუდენტების ჩარიცხვა ხდება მათი საბუთების აღიარების შემდეგ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და განათლების ხარისხის გაიუმჯობესების ეროვნული ცენტრის მიერ. გარდა ამისა, პროგრამაზე სწავლის მსურველმა უნდა ჩააბაროს შიდა საუნივერსიტეტო გამოცდები. ინგლისურენოვანი პროგრამების კურსდამთავრებულები აბარებენ გამოცდას სპეციალობაში, ხოლო დანარჩენები - სპეციალობის გარდა აბარებენ გამოცდას ინგლისურ ენაში, რომელიც შეესაბამება B 2 დონეს (თუ მათ არ გააჩნიათ შესაბამისი საერთაშორისო სერტიფიკატი) . ჯგუფში სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობაა 15.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	<p>პროგრამის მიზნებია:</p> <ul style="list-style-type: none"> • მისცეს სტუდენტს ღრმა ცოდნა უმაღლესი განათლებისა და მისი ადმინისტრირების დარგში და განათლების ადმინისტრირების მაგისტრის სათანადო კვალიფიკაცია, რათა ისინი გახდნენ ნამდვილი ლიდერები ამ სფეროში და თანამდროვე მოთხოვნების შესაბამისი განათლების ადმინისტრატორები/მენეჯერები. • მოამზადოს განათლების ადმინისტრატორი როგორც ზოგადპედაგოგიურ და ფსიქოლოგიურ ასპექტებში, ისე განათლების ადმინისტრირების/მენეჯმენტის კერძო საკითხებში, ისეთებში, როგორცაა ლიდერობა განათლებაში და სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილება განათლების სისტემის მართვაში. • კურსდამთავრებულებმა შეძლონ თავისუფლად გამოიყენონ ინგლისური ენა პროფესიული კომუნიკაციისას (როგორც უცხოეთში, ისე საკუთარ

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: contact@ibsu.edu.ge



საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

	<p>ქვეყანაში უცხოელ კოლეგებთან ურთიერთობისას). ასევე, შეძლონ, იმუშაონ საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციაში და განათლების მართვისა და ორგანიზების სისტემის სხვადასხვა დაწესებულებებში.</p> <ul style="list-style-type: none"> • სტუდენტებს ჩამოუყალიბდეს არამართო სათანადო ცოდნა, არამედ საკუთარი ცოდნის გადრმავეების მიზნით სწავლის შემდგომ საფეხურზე (დოქტორანტურაში) და დამოუკიდებლად გაგრძელების უნარი. ამისთვის საჭიროა გარკვეული მოცულობის თეორიული (პედაგოგიური, ფსიქოლოგიური, ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის სფეროში) მომზადება, რომელიც უზრუნველყოფილია მთელ რიგ სასწავლო კურსებში, ასევე სწავლის პერიოდში სტუდენტებმა უნდა შეასრულონ დიდი ოდენობის დამოუკიდებელი სამუშაო (პროექტები, პრეზენტაციები, საკურსო ნაშრომები). • ღირებულებათა შორის, რომლებიც ჩამოუყალიბდებათ კურსდამთავრებულებს, იყოს განათლების ადმინისტრირების სფეროს კვლევისა და პრაქტიკული მუშაობის მიმართ ღრმა ინტერესი, ჰუმანისტური და სტუდენტზე ორიენტირებული პედაგოგიკის პრინციპებისადმი პატივისცემა.
<p>სწავლის შედეგები</p>	<p>ცოდნა და გაცნობიერება:</p> <p>სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას, აცნობიერებს ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს. პროგრამის დასრულებისას სტუდენტს ექნება:</p> <p>ა) ევროპულ უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებული ტერმინოლოგიისა და თეორიების ღრმა და სისტემური ცოდნა განათლების მეცნიერებებში, ადმინისტრირებასა და მომიჯნავე დარგებში;</p> <p>ბ) დარგის ისტორიის, განათლების მენეჯმენტის სისტემისა და რეფორმების ღრმა ცოდნა, საზოგადოებაში უნივერსიტეტის როლის, პასუხისმგებლობისა და წვლილის გათვითცნობიერება;</p> <p>გ) „კლასიკური“ ლიტერატურის ცოდნა სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომის თაობაზე;</p> <p>დ) განათლების ადმინისტრირების/მენეჯმენტის ევროპულ სივრცეში მიღებული პრინციპებისა და წარმატებული პრაქტიკის ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც განაპირობებს ეფექტურ ადმინისტრირებას/მენეჯმენტს უმაღლესი განათლების სფეროში;</p> <p>ე) განათლების ადმინისტრირების პროცესების ღრმა ცოდნა საერთაშორისო სტანდარტებისა და უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმის მისაღწევად;</p>

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: contact@ibsu.edu.ge



საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

	<p>ვ) იმის ცოდნა, თუ როგორ შეუძლია სასწავლო პროცესების ბუნების ცოდნას გააუმჯობესოს სწავლების პროცესი;</p> <p>ზ) იმ მნიშვნელოვანი საკითხების ცოდნა, რომელსაც ემსახურება უნივერსიტეტი - განავითაროს სტუდენტები და თანამშრომლები საზოგადოებისა და დაინტერესებული მხარის ინტერესების გათვალისწინებით.</p> <p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p> <p>სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას, აცნობიერებს ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს. პროგრამის დასრულებისას სტუდენტს ექნება:</p> <p>ა) უნარი, ადეკვატურად გამოიყენოს პროფესიული ტერმინოლოგია მუშაობისას და ლიტერატურის ღრმა გაგებით კითხვისას;</p> <p>ბ) პროფესიული საზოგადოების პრაქტიკულად განვითარების უნარი აზრთა გაზიარებისა და სხვადასხვა აქტივობის მეშვეობით;</p> <p>გ) უნარი, გააუმჯობესოს უმაღლესი განათლება ადმინისტრირების პრინციპების ცოდნაზე, ლიდერობის, კომუნიკაციური და ჯგუფური მუშაობის უნარ-ჩვევებზე დაყრდნობით;</p> <p>დ) უნარი, გადაჭრას პროფესიული პრობლემები შეძენილ თეორიულ ცოდნაზე დაყრდნობით;</p> <p>ე) უნარი გამოიყენოს შესაბამისი მეთოდები (ხარისხობრივი და რაოდენობრივი ანალიზი) მასალების შეგროვებისას, ინტერპრეტირებისას და წარდგენისას; უმაღლესი განათლების სფეროსთვის დამახასიათებელი პროექტების დაგეგმვის, განვითარებისა და განხორციელების უნარი;</p> <p>დასკვნის უნარი:</p> <p>რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი. პროგრამის დასრულებისას სტუდენტი შეძლებს:</p> <p>ა) განათლების ადმინისტრირებასთან დაკავშირებით დასკვნების გამოტანას, დამოუკიდებელი და ორიგინალური აზროვნების დემონსტრირებით;</p> <p>ბ) საკუთარი აზრის არგუმენტირებას, ინდუქციისა და დედუქციის, ანალიზისა და სინთეზის, შედარებისა და ანალოგიის გამოყენებით.</p> <p>გ) კრიტიკულად გაანალიზოს საკუთარი პროფესიული გამოცდილება და განსაზღვროს პროფესიული ზრდის საშუალებები.</p>
--	---

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: contact@ibsu.edu.ge



საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

	<p>კომუნიკაციის უნარი:</p> <p>თავისი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების კომუნიკაცია აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხოურ ენებზე, აკადემიური პატიოსნების სტანდარტებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით</p> <p>პროგრამის დასრულებისას სტუდენტი შეიძენს:</p> <p>ა) ეფექტური კომუნიკაციის უნარს პროფესიულ გარემოში, სადაც გამოავლენს ლიდერულ თვისებებს და ეფექტურად გაუძღვება მოლაპარაკებებს;</p> <p>ბ) ეფექტური კომუნიკაციის უნარს უმაღლესი საგანმანათლებლო სტანდარტების შესაბამისად, როგორცაა, ვერბალური და არავერბალური კომუნიკაცია (ადეკვატური ჯესტები, სხეულის ენა, თვალთ კონტაქტი, ვიზუალური საშუალებების გამოყენება), პრეზენტაციის უნარების გამოვლენა განათლების ტექნოლოგიების გამოყენებით.</p> <p>სწავლის უნარი</p> <p>სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება და სტრატეგიულად დაგეგმვის მაღალი დონე.</p> <p>პროგრამის დასრულებისას სტუდენტს ექნება:</p> <p>ა) უნარი კვლევის მიზნით შეაგროვოს, გაანალიზოს და წარადგინოს მოპოვებული ინფორმაცია ეფექტურად და ეთიკურად, დაწეროს, გაიზიაროს, და წარადგინოს ანგარიშები და სხვა დოკუმენტაცია ცხადად და აკადემიურ სტილში;</p> <p>ბ) განათლების ტექნოლოგიების გამოყენების უნარი პროფესიულ მუშაობაში (უნარი, იპოვოს საკვლევი მონაცემები და ლიტერატურა ინტერნეტსა და ბიბლიოთეკაში, გამოიყენოს პროფესიულ მონაცემთა ისეთი ბაზები, როგორცაა ERIC და EBSCO სწავლისა და კვლევის მიზნებით), ეფექტურად მოამზადოს და გამოიყენოს პრეზენტაციები Power Point Presentation პროგრამაში, დაწეროს სამაგისტრო ნაშრომი).</p> <p>გ) თვით- და ურთიერთშეფასების უნარი.</p> <p>ღირებულებები:</p> <p>ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა.</p> <p>პროგრამის დასრულებისას სტუდენტს ექნება:</p> <p>ა) ეთიკური პროფესიული ნორმებისადმი პატივისცემა; სხვა კულტურებისადმი პატივისცემა;</p> <p>ბ) განათლების ჰუმანისტური და დემოკრატიული (სტუდენტზე ორიენტირებული) სწავლების/ამინისტრირების პრინციპებისადმი პატივისცემა;</p> <p>გ) ახალი და ინოვაციური ცოდნისკენ სწრაფვა, მისი პატივისცემა განათლებისა და მისი ადმინისტრირების დარგში;</p>
--	--

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: contact@ibsu.edu.ge



საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

	<p>დ) პროფესიული ავტონომია; ე) აკადემიური პატიოსნება.</p>
<p>სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა</p>	<p>შეფასების მიზანია ხარისხობრივად განსაზღვროს სტუდენტის სწავლის შედეგები აკადემიური პროგრამის მიზნებთან და პარამეტრებთან მიმართებაში.</p> <p>სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება ზეპირი და/ან წერილობითი ფორმით. სასწავლო კურსის/კომპონენტის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. შეფასება ითვალისწინებს შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი შეადგენს 100 ქულას.</p> <p>შეფასების სისტემა უშვებს:</p> <p>ხუთი სახის დადებით შეფასებას:</p> <ol style="list-style-type: none"> 1) (A) ფრიადი – შეფასების 91 - 100 ქულა; 2) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81 - 90 ქულა; 3) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71 - 80 ქულა; 4) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61 - 70 ქულა; 5) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51 - 60 ქულა. <p>ორი სახის უარყოფით შეფასებას:</p> <ol style="list-style-type: none"> 1) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41 - 50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; 2) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. <p>შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ აღემატება დასკვნითი შეფასების 60%-ს.</p> <p>შუალედური და დასკვნითი შეფასებების ქულობრივი განაწილება, მათი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და შეფასების რუბრიკები გაწერილია შესაბამისი კომპონენტის სილაბუსში.</p>

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: contact@ibsu.edu.ge



საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

	<p>კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, ქვემოთ მოყვანილი აუცილებელი მოთხოვნების გათვალისწინებით:</p> <p>ა) შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვის შემთხვევაში;</p> <p>ბ) საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მინიმუმ 51 ქულის მოგროვების შემთხვევაში.</p> <p>დამატებით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ მან საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მოაგროვა 41 - 50 ქულა ან მინიმუმ 51 ქულა, მაგრამ ვერ გადალახა დასკვნითი შესაფასებისთვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.</p> <p>სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხდება შემდეგი კრიტერიუმებით:</p>			
	№	კრიტერიუმი	მაქსიმალური შესაძლებელი შეფასება	მინიჭებული ქულა
	1	აქტუალობა	10	
	2	კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა	10	
	3	კვლევის თეორიული მნიშვნელობა	10	
	4	სიახლე	10	
	5	საკვლევი პრობლემის ანალიზის სიღრმე და დასკვნების ორიგინალობა	15	
	6	კვლევის შედეგების დამაჯერებლობა (ექსპერიმენტის /მონაცემების სტატისტიკური დამუშავება, მსჯელობა)	5	
	7	დაცვისას მასალის პრეზენტაცია (ლოგიკური მსჯელობა, პრეზენტაციის სტრუქტურა, მკაფიო მეტყველება, ნაშრომის	15	

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: contact@ibsu.edu.ge



საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

		ძირითადი დებულებების წარმოდგენა)		
	8	დაცვის პროცესში კითხვებზე ადეკვატური პასუხების გაცემა, საკუთარი პოზიციის დასაბუთება, ტერმინოლოგიის ფლობა	15	
	9	დაცვისას გამოყენებული თვალსაჩინოების ეფექტურობა	10	
		სულ	100	დაიცვა / ვერ დაიცვა
დასაქმების სფერო	ადმინისტრაციული მუშაკი უმაღლესი განათლების სფეროში. ასევე, შეუძლია გააგრძელოს სწავლა დოქტორანტურაში.			

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: contact@ibsu.edu.ge